№ 180 აგვისტო 20, ოთხშაბათი 1886 აგვისტო 20, ოთხშაბათი № 180

ივერია

გაზეთი ღირს

თთვე	მან.	კ.	თთვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	7	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1886 წელიწადი

გაზეთი „ივერია" 1-ლის აგვისტოდამ წლის დამლევამდე ღირს 5 მ. 50 კაპ.

ტფილისი, 19 აგვისტო

ვინც ყურს ადევნებს დეპეშებს ბოლგარიის საქმეთა თაობაზედ და ცოტა რამ სურვილიცა აქვს შეიტყოს — «რა გამოვიდა რისაგან», უნდა გაკვირვება მიეცეს. არ გაგონილა ამისთანა ახირებული ამბავი. გუშინ რომ ერთი ამბავი მოეტანა დეპეშას და თქვენი აზრი იმ ამბის კვალობაზედ შეგედგინათ, დღეს დეპეშას სულ სხვა, მისი წინააღმდეგი და უარმყოფელი ამბავი მოაქვს. პირველი ამბავი ის იყო, რომ თამამად შეგეძლოთ გეთქვათ: ბოლგარიაში ყველა დასნი შეერთებულან ალექსანდრე მთავრის წინააღმდეგ და გადუყენებიათ იგი მთავრის ტახტიდამ. აქედამ, რასაკვირველია, ის აზრი უნდა შეგედგინათ, რომ თუმცა ბოლგარიაში პასუხის მგებელი სამინისტროა, მაგრამ საქმეთა მდინარეობის სათავეში მარტო ალექსანდრე მთავარი მდგარა და მარტო მას თავის ნებაზედ უტარებია პოლიტიკა შინაური, თუ საგარეო და ეს პოლიტიკა ერთობ ყველა დასს დაუწუნია და სხვა ღონე რომ არა ჰქონია ალექსანდრე მთავრის პოლიტიკის სხვა გზაზედ დაყენებისა, აუღია და თვით ალექსანდრე მთავარი მოუშორებია თავიდამ. ხოლო ამის შემდეგ მოსულმა დეპეშამ გვაცნობა, რომ ეს ყველა დასის შეერთება სულ ტყუილი სიზმარია: ცანკოვისა და მის მომხრეთაგან მომხდარს ამბავს ხელი ჩაავლო ისევ კარაველოვმა, დროებითს მართებლობას ბოლგარიისას ისევ ეს კარაველოვი გაუხდა მოთავედ და ცანკოვი და მისი მომხრენი დაატყვევა.

ვისაც ბოლგარიის საქმეთა მსვლელობისათვის თვალ-ყური უდევნებია, იმას ეცოდინება, რომ ცანკოვი მოთავე იყო ოპოზიციისა წინააღმდეგ კარაველოვის სამინისტროსი, რომლისა თანხმად მოქმედებდა თვით ალექსანდრე მთავარიცა. რაკი უტყუარი ამბავია, რომ ალექსანდრე მთავარი პირველში მართლა ტახტიდამ გადააყენეს და ბოლგარიიდამაც გაისტუმრეს და რაკი არც ის არის ჯერ გადათქმული, რომ მთავრის ერთგული კაცი კარაველოვი ისევ მოთავედ დაუდგა ბოლგარიის ერსა, აშკარაა, ცანკოვის მიერ ატეხილი ამბავი მარტო ალექსანდრე მთავრის სასახლის საქმე ყოფილა, სასახლის ოთხ კედელშუა დაწყობილა და ოთხ-კედელშუავე გათავებულა. როცა ეს საქმე გარედ გამოსულა, მაშინვე მთავრის მომხრე კაცთა ხელში ჩავარდნილა და წინანდელი მართებლობა აღდგენილა, ანუ, უკეთ ვსთქვათ, დახვედრია ამ საქმესა და წინანდებულად მიუმართავს.

უკანასკნელი დეპეშა გვაცნობებს, რომ ალექსანდრე მთავარი ქურქევოში მისულა, აქ მიჰგებებია სტამბულოვი ბოლგართა დეპუტატებით და ალექსანდრე მთავარი ჩამჯდარა გემში და ისევ უკან დაბრუნებულა ბოლგარიაში, სახელდობრ, რუშჩუკში. აქ მიჰგებებიან მიტროპოლიტი გრიგოლი, უცხო ქვეყნის კონსულები და ერი. თუ ცანკოვის დასი, რომელმაც გადააყენა ალექსანდრე მთავარი, მართლა ძლიერია, ალექსანდრე მთავრის დაბრუნება კვლავ სამთავროდ ბოლგარიაში თუ არ შეუძლებელი, ძალიან ძნელი საქმე იქმნება და თუ ცანკოვის დასი არ არის ძლიერი და თვითონ ერის სურვილზე დაფუძნებული, მაშინ არც ალექსანდრე მთავარს და არც მის მომხრეს კარაველოვს არა გაუჭირდებათ რა შინ, თუ დიდთა სახელმწიფოთა ხელი არ შეუშალეს გარედამ.

მაინცა-და-მაინც ბოლგარიის დღევანდელი საქმე ახირებული საქმეა ყოველის მხრით. გაზეთები ჰცდილობენ გულნადები შეუტყონ ამ საქმესა და ვერა გაუგიათ რა. ზოგს უხარიან ეს საქმე, ზოგსა სწყინს, და მარტო ერთში არიან თანახმანი, რომ ეს საქმე ფეხზედ დააყენებს ყველა დიდს სახელმწიფოსა და დიდს ლაპარაკს გამართავს მათ შორის. ამ გაუგებრობაში ეს კი სათქმელია, რომ ამისთანა ამბები, რაც ბოლგარიაში რამდენისამე დღის განმავლობაში მოხდა და ხან ერთი ფერი დაადო ბოლგარიას, ხან სხვა, ახირებული მალაყია საპოლიტიკო ისტორიაში. ეს მალაყი ვინ და რამ აქმნევინა ბოლგარიას? შინიდამ წარმოსდგა თავის თავად, თუ გარედამ? აი საკითხავები, რომლის ახსნაზედაც დამოკიდებულია განსჯა და გაკითხვა ამ ჯერ უცნაურის საქმისა.

ახალი ამბავი

*** ამ რამდენსამე დღის წინად ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი იყო ცნობა, რომ ვიღაც მერძევემ გრიქუროვმა თავის მოსამსახურეს თავი გაუხეთქაო. ამ საქმის შესახებ ჩვენის ტფილისელის მოამბისაგან შემდეგი ცნობა მივიღეთ:

სომეხს გრიქულა ტერ-ოანესიანცს (ეს გვარი უთხრა პოლიციელს), რომელსაც სარძევე დუქანი აქვს სოლოლაკისა და სერგეევის ქუჩის კუთხეში, ბაყლისა და ტოლეს მაღაზიის შუა, ჰყოლია მოჯამაგირედ ს. კრიხის მცხოვრებელი ვანო კუბულაშვილი თთვეში ოთხ მანათად. პატარა მოსამსახურეს, იმერელს ვანოს, ეყიდნა საზამთრო, დაეპატიჟნა ამავე გრიქულა ტერ-ოანესიანცის ცოლის ძმის პატარა შვილი და ორივე ერთად შეექცეოდნენ თურმე აივანზე. რადგანაც „ალის“ შვილს ეზოში ჩასვლა დაჰზარებოდა, აივანიდამ ჰყრიდა საზამთროს ქერქებს ეზოში მდგარს სანაგვე ყუთში; რამოდენიმე ქერქი ეზოში დაეცა თურმე. ეზოს მცველმა შენიშნა და გრიქულა ტერ-ოანესიანცს უთხრა. გამხეცებულმა ტერ-ოანესიანცმა დაავლო ჩაის მრგვალს სტოლს ხელი და ისე ძლიერად დასთხლიშა თავში საცოდავს პატარა იმერელს, რომ სტოლი ორად გასკდა და თავ-დაჩეჩქვილი და სისხლში შესვრილი იმერელი იატაკზედ დაეცა. შიშისა და ტკივილებისაგან გამწარებულმა მოიკრიბა უკანასკნელი ღონე, გამოვარდა ქუჩაში და დაიყვირა „ვაიმე მომკლა, ვინა ხართ ქრისტიანი, მიშველეთო!“ აქ უეცრად გამოცვივდნენ ტერ-ოანესიანცის ქომაგები, დასტაცეს ხელი გასისხლიანებულს ბიჭს და მიათრევდნენ სარდაფში, რათა გრიქულა ტერ-ოანესიანცის ბარბაროსული მოქმედება არ გამომჟღავნებულიყო. მაგრამ აქ გადაეღობნენ უცხო პირები, გამოჰგლიჯეს ბიჭი ხელიდგან და პოლიციელს გაატანეს მეოთხე განყოფილებაში.—პოლიციიდამ ამ სიტყვებით გამოისტუმრეს თურმე: რადგანაც შენ იმოდენად პატარა ხარ, რომ სასამართლოს ვერ მიჰმართავ და არც არავინა გყავს, ამისათვის გირჩევნია შენთვის წახვიდეო. დღეს ეს ვაჟბატონი ტერ-ოანესიანცი ხვედრს ჯამაგირსაც არ აძლევს საბრალო ბაშვსა:—„როცა მორჩე, ისევ ჩემთან დადექიო!“

რა ჰქმნას? ვის მიჰმართოს უპატრონომ და საწყალმა??

ამისთანა გაჭირვებულებს მაშინ ეშველებათ, როცა დაარსებენ მოსამსახურეთა მფარველს საზოგადოებასა, რომელსაც ღონე ექმნება, რომ ამისთანა ბარბაროსობისაგან დაიცვას გაჭირვებული მოსამსახურენი.

*** მივარდნილს ადგილებში, სადაც გამვლელ-გამომვლელი აგრე რიგად ხშირად არა ხვდება, ტფილისის ქუჩები თითქმის გაუნათებელია; ფარნები ოდნავ ბჟუტავენ, მინები დამურულია და ხელის სისქედ ადევს მტვერი. სამ საათზე ფარნებში ნავთი ილევა და ჰქრება. ეხლა კიდევ ზაფხულია. კაცი აგრე რიგად არ შეიმჩნევს და იოლად წავა; მაგრამ რა უნდა ჰქმნან ზამთრობით ამ ქუჩის მცხოვრებლებმა? ძალიან საჭიროა, რომ საქალაქო გამგეობამ ყურადღება მიაქციოს ამ საქმეს და რაიმე ღონე იხმაროს, რომ ქალაქის განაპირა, მიყრუებული ქუჩებიც ისე იყოს განათებული, როგორც დიდი ქუჩებია.

ფელეტონი

სიცილი

ორშაბათი

ავდექ ზეზე, ღმერთი ვახსენე და ისე კოხტად მოვიკაზმე, რომ, ასე გასინჯე, ჩემი კნეინაც კი განცვიფრდა. მართლაც, მე თავი მოვიწონე, რაკი კნეინამაც მომიწონა, ამაყად დავიწყე სიარული; გულის სიმაგრე შემმატა და დავიწყე ლაპარაკი:

— „აი, დღეის შემდეგ კი წელმოხრილი აღარ ვივლი; ვისაც უნდა, პირ-და-პირ ცქერას დავუწყებ და თუ ვინმემ რამე მკადრა, უთუოდ მივცემ შესაფერს პასუხსა და მით დავიცავ ჩემს კაცობრივს ღირსებასა. არ გადუდგები სინიდისსა, დავეხსნები ფარისევლობას და დავიწყებ სვლასა ახალის, პატიოსანის გზითა.“

გავექანე და მივედ იმ სახლში, სადაც ბრძანდებოდა ჩემი ბატონი. კარებს რომ მივუახლოვდი, გულის ძაგძაგმა ცოტად შემაღონა, მაგრამ ისევ მალე მოვედი ღონეზედ და ისე მაგრად ჩამოვკარ ხელი კარების ზარსა, რომ ბატონის მოსამსახურეები ყველა ფეხზედ დავაყენე. კარები გამიღეს, ზალაში შემიყვანეს და მთხოვეს, მოიცადეთ მინამ სახლის უფალი ჩაიცვამს ტანისამოსსაო. დავატყე ჩემს თავს, რომ თან-და-თან გულ-მუცელი მემღვრევა და სახეზედაც ფერი მეცვლება. ვამბობ: «წავალ ისევ სახლში და გადავსდებ დღევანდელს ჩემს ბაასს ბატონთან; თუმცა სურვილი კი მქონდა ბაასისა, მაგრამ კვლავ იყოს-მეთქი.» ამ დროს გაიღება კარი; გამოდის ბატონი.

— რა გნებავთ?

— როგორ თუ რა მნებავს? ამ გვარს უსამართლოებას მე არ დაგითმობთ... მსურდა ეს მეთქვა, მაგრამ ამ სიტყვების მაგივრად, უნებლიედ თავი დიდის მოწიწებით მოვიხარე მის წინ და ვუთხარი: გიახელი, ბატონო, თქვენო კეთილ..., თქვენო აღმ..., თქვენო ბრწყინ.... შესატყობლად თქვენის კარგად ყოფნისა. ხომ არაფერი გნებავთ, მიბრძანეთ... მე თქვენი ერთგული ყმა ვარ...

ვაიმე! დავბრუნდი... ჯერ დავიწყე ტირილი და მერე კი ხა, ხა, ხა, ხა, ხი, ხი, ხი, ხო, ხო, ხო!!.

სამშაბათი

მივდივარ კეკლუცს და ეშხიანს სალომესთან და ვფიქრობ: დღეს კი ვეცდები, ჩემ ღმერთას ვუამბო ჩემის გულის თრთოლვა, ჩემი სიყვარული, ჩემი გულის წვა. ვუთხრა იმას, იმ ჩემს მწველ-მდაგველს:

სალომე! შენ გენაცვალე, შენი სულის ჭირიმე! ნუ მტანჯავ! მოიბრუნე ჩემსკენ გული; მეც რამე ნუგეში, თორემ თავს მოვიკლავ.

შეველ სახლში. გამოდის მოსამსახურე-გოგო დარიკო. ვეკითხები:

— ქალბატონი აქა ბრძანდება?

— დიაღ, მობრძანდით, თქვენი ჭირიმე.

— არა, გენაცვა, წადი და მოახსენე, რომ მე მას აქ ველოდები და თუ არ მოვა, აი ხედავ?—ხელში დამბაჩა მიჭირავს თავის მოსაკლავად.

გამოდის ჩემი სიცოცხლე, ჩემი ანგელოზი, ჩემი სული, ჩემი გული, მთხოვს, მას გვერდით მივუჯდე და მეკითხება:

— ნუ თუ გასულელდი, ნუ თუ გონებაზედ შეიცვალე? განა არ იცი, რომ მეცა ვკვდები შენის სიყვარულით? სინიდისი მამხილებს, რომ ასე უწყალოდ გტანჯავ; ჩემის მიზეზით მოაკლდი შენ ყოველს შენს ქონებასა, მაგრამ არ შემიძლია აღვასრულო შენი გულის სურვილიო!

— არ ვიცი, არ ვიცი, შენი ჭირიმე, არა მესმის-რა. სალომე, შენ გენაცვალე, მითხარ უკანასკნელად: გიყვარვარ, თუ არა? და თანახმა ხარ, რომ წამომყვე? გადავიკარგოთ შორს სადმე და ერთად ვიცხოვროთ. მითხარ, თორემ თავს მოვიკლავ.

— აბა ვნახო, როგორ აასრულებ შენს აღთქმას. აბა, მოიკალ თავი.

ავიღე დამბაჩა, მივიბჯინე შუბლზედ და ისევ უკან დავუშვი, ვამბობ:

— ვერა, ვერ მოვიკლავ თავსა!

— ოჰ, შე მშრთხალო, შე უნამუსო, განა ასე უნდა სიყვარული? გადი, გამეცალე, არ დამენახვო! დარიკო! გაათრიე გარედ.

გამოველ, მოველ სახლში; ჯერ დავიწყე ტირილი და მერე ხა, ხა, ხა, ხა, ხი, ხი, ხი, ხო, ხო, ხო...

ოთხშაბათი

პური მშიან, მწყურიან, მივდივარ ფულის ღმერთთან, მიმაქვს თამასუქი, მიმაქვს ნივთები დასაგირავებლად. მინდა ერთი თუმანი, მხოლოდ ერთი თუმანი, ცოლ-შვილი მიკვდება. გამიღეს კარები. ოჰ, ღმერთო, რა სიმდიდრეა, ოქრო, ვერცხლი, თვალ-მარგალიტი, ხავერდი, აბრეშუმი, პური ღვინო... ტანმა დამიწყო ძაგ-ძაგი, მხრებმა ცახ-ცახი, ნერწყვი მომდის... გამოდის ფულის ღმერთი, სინჯავს ჩემს თამასუქსა, ჩემს ნივთებსა.

— გნებავთ სამი მანეთი მიიღოთ, მეტი არა ღირს თქვენი ნივთები, მეუბნება მდიდარი.

— ბატონო, ბატონო! მიჰხედე ღმერთს, ცოლ-შვილი მეხოცება; ნუ მიზამთ მაგ საქმესა... ბატონმა პირი მიიბრუნა. გავიდა. კარები ჩაიკეტა.

⁂ გორიდამ გვწერენ: წარმოდგენა, რომელიც ათს მარიამობისთვისას უნდა ყოფილიყო ერთის ვითომ-და ღარიბის სტუდენტისათვის, აღარ მოხერხდაო. ამის ნაცვლად სხვა წარმოდგენა გაუმართავთ ხარკოვის უნივერსიტეტის ღარიბ სტუდენტისათვის ბ ნ ნ. კ—ს.

⁂ თელავიდამა გვწერენ: „ამას წინად „ივერიაში იყო დაბეჭდილი, რომ თელავში სტუდენტები ღარიბ თანამოძმეთა სასარგებლოდ წარმოდგენის და ლიტერატურულ სალამოს გამართვას აპირებდნენ, მაგრამ რაღაც მიზეზებისა გამო წარმოსდგენა ვერ შესდგაო. მიზეზი, უეჭველია, მშვენიერთა სქესის წარმომადგენელნი იქნებოდნენო. მთელი ზაფხული აპირებდნენ წარმოდგენას და ქალს ვერ აკისრებინეს, რომ მონაწილეობა მიეღო. სამწუხაროა ამ გვარი მოვლენა. გარეშე კაცს ეგონება, რომ თელავში ქალები არ არიანო.

⁂ ქარელიდამ, გორის მაზრიდამ გვწერენ: კვირას, ჩვიდმეტს ამ თთვისას, ს. ქარელში, ბ. ხუმარაძის ჰირნახულის საწყობში, გამართული იყო ქართული წარმოდგენა. ითამაშეს «ძუნწი» და „ბიძიასთან გამოხუმრება“. ყველამ, გარდა კ. ხერ—ძისა, კარგად იცოდნენ როლები და კარგადაც ითამაშეს. განსაკუთრებით ყველაზედ უკეთესად თამაშობდნენ ნიჭიერი სცენის მოყვარე ს. ციციშვილისა და ლევან ციციშვილი; პირველმა ხამფერას და ნატოს როლი ისე ხელოვნურად ითამაშა, რომ დიდის ხნის დახელოვნებული „არტისტკა“ გვეგონებოდათ. ბ ნი ლ. ციც-შვილიც კარგად თამაშობდა კარაპეტას როლს, მაგრამ, ცოტა არ იყოს, გადააჭარბა მეტის-მეტის ხელების შლითა. საზოგადოება კმაყოფილი დარჩა ამ წარმოდგენას და ბლომადაც დაესწრო. ხალხის გასართობად მოწვეული ჰყავდათ ზურნა და საზანდარი. შემდეგ წარმოდგენისა გამართეს ცეკვა და ვახშამი. ნადიმი გაგრძელდა დილის შვიდ საათამდე. ამ წარმოდგენიდგან შემოსული ფული, როგორც უკვე ეცოდინება მკითხველს, გადადებული იყო ღარიბ სტუდენტების სასარგებლოდ. ფული ოც თუმნამდე შემოვიდოდა, მაგრამ, რადგანაც ზურნაზე, თარზე, ვახშამზე და სხ. კარგა ბლომად დაიხარჯებოდა ფული; ღარიბი სტუდენტებისათვის ბევრი აღარა დარჩებოდა-რა, ასე რომ ჩვენ შეგვეძლიან ვსთქვათ: თუმცა სახელი სტუდენტებისა იყო, მაგრამ სახრავი კი სხვისაო.

⁂ ვანქის უბნელები ძალიან უჩივიან იქვე გვერდზე მყოფთ მენახშირეებს. აშვებული ჰყავთ საქონელი: ცხენები, ჯორები და ვირები და მთელს ვანქის უბანს აქელვინებენო. ამათის შიშით ქუჩაში ყმაწვილი ველარ გამოგვიშვიაო. ხან-და-ხან, როცა თითონაც ზედა სხედან, ისე მოაჭენებენ, რომ ამას წინედ კინალამ ერთი მანდილოსანი გაიტანეს ქვეშაო. საკვირველია, რატომ პოლიცია არ მიაქცევს ამ ამბავს ყურადღებას და არ დააბმევინებს საქონელსა რაიმე უბედურების ასაცილებლად.

⁂ უჩივიან აგრეთვე ამიერ-კავკასიის რკინის გზის მართველობას. ვაგონებში ალაგი არ არის, ისეა სავსე მგზავრებით და ვაგონებს არ უმატებენ, რომ ხალხს თავისუფლად შეეძლოს დაჯდომაო. ისეა გავსებული ხალხით ვაგონები, რომ უმეტესი ნაწილი იძულებულია ფეხზედ იდგეს ხოლმეო.

⁂ რუსულის ოპერის სეზონი ამ აგვისტოს 30 დამ დაიწყობაო.

⁂ ტფილისის ტრაქტირებისა და სასტუმროების პატრონებს საერთო თხოვნა მიურთმევიათ გუბერნატორისათვის და უთხოვნიათ: თუ ღვინის ბაჟს უმაღლესის ბრძანებისამებრ მომავალ, 1887 წელს ყველგან მოუმატეს, გთხოვთ, რომ ტფილისის ტრაქტირებსა და სასტუმროებში არ შემოიღონ ეს ახალი დებულებაო, თორემ უმეტესი ნაწილი დაიკეტება, რადგან კავკასიის ხალხი ჯერ იმდენად კიდევ არ არის შეჩვეული სასტუმროებსა და ტრაქტირებში სიარულს და იმდენი შემოსავალი არა გვაქვს, რომ ამაზედ მეტს ხარჯს გავუძლევეთო. („კავკაზი“)

⁂ 18 აგვისტოს, 5½ საათზედ მცხეთაში მობრძანებულან მათი იმპერატორებითნი უმაღლესობანი მთავარნი: ნიკოლოოზ, მიხეილ, გიორგი მიხეილის ძენი და პეტრე ნიკოლოოზის ძე და მცხეთიდგან საკუთრივ მათთვის მომზადებულის მატარებლით ბორჯომში წაბრძანებულან. („კავკაზი“)

⁂ ეკატერინოგრადში, გაზ. „Сѣв. Кав.“-ის სიტყვით, 29 ივნისს შემდეგი სამწუხარო ამბავი მომხდარა: ხუთის წლის ვაჟი ნოვიცკისა მისულა თავის ბებია სკვორცოვისთან სათამაშოდ. ეზოში თამაშობისა და ცელქობის შემდეგ, მივიდა და ჩადგა ოთახის კარებში და დაუწყო ყურება ბებიის შვილს, 17 წლის ყმაწვილკაცს, რომელიც თოფსა სინჯავდა და სანადიროდ აპირებდა თურმე წასვლასა. ყმაწვილმა-კაცმა ვერ დაინახა კარებში გაჩერებული ბავშვიო, თოფის ლულა კარებისაგან გაიშვირა და დაუწყო ჩახმახს წვალებაო. უეცრივ გავარდა თოფი და გულში დაჭრილი ყმაწვილი იქვე დაეცაო. მკვლელი კი გონება დაკარგული წყლისაკენ გაიქცა თავის დასარჩობადაო.

⁂ გაზ. «მშაკი» გვატყობინებს, რომ ვიღაც ამბარცუმ არაქელიანცს განზრახვა აქვს, მომავალის წლის იანვრიდგან გამოსცეს ტფილისში სომხურს ენაზედ ყოველ-თთვიური სალიტერატურო და საპოლიტიკო ჟურნალიო. ამ ჟურნალს სახელად «შავილი» ერქმევაო («გზა»). არაქელიანცს უკვე შეუტანია თხოვნა შინაგან საქმეთა სამინისტროში ამ ჟურნალის გამოცემის ნება-რთვის ასაღებად.

⁂ გაზ. «Новое Время»-ს თანამშრომელს სერგეი ატავას ამ გაზეთის 3754 №-ში დაუბეჭდია წერილი კლდის ზვავების შესახებ კავკავის გზაზედ. ბ-ნს ატავას ორჯელ გაუვლია წლეულს ამ გზაზედ. «ორჯელვეო, ამბობს თავის წერილში ბ-ნი ატავა, სიამოვნებით შევსცქეროდი საშინელს, თვალთ-აუწვდენელს მთებსა, უფსკრულში ჩაკიდულ კლდეებსა და ვსიამოვნებდიო. მაგრამ ხშირად ეს ლამაზი და თვალთათვის სასიამოვნო მთები უბედურების მიზეზი შეიქმნება ხოლმეო. საქმე იმაშია, რომ გზაზე გადმოშვერილ კლდის ნაპრებს ყურადღებას არავინ აქცევს. ყველანი ამბობენ, რომ ეს ქვები საშიშიაო, „იამშჩიკები“ რომ გაივლიან, ქვემოდამ შეჰყურებენ და მგზავრებს უამბობენ, რომ ეს ქვები მეტად საფრთხილოაო, ამას წინედ ამა-და-ამ ალაგას ჩამოვარდა ზვავიო. ამ გადმოშვერილ კლდის ნაპრების გადმოგდება, ნაღმით ან სხვაფრივ როგორმე, რასაკვირველია, ადვილია, მაგრამ არ ვიცით, რატომ არ აქცევენ ამ საგანს ჯეროვანს ყურადღებასაო.

ამას წინედ ამ გზაზედ ერთი უბედურება მოხდა. განთქმულ თამარის ციხესთან უშველებელი კლდის ნაპერი იყო გადმოშვერილი ზედ შუა გზაზედ, ერთის მოზრდილის ქოხის ტოლა იქნებოდა, ყველა იმას ამბობდა, რომ დღეს არის თუ ხვალ გადმოიქცევა, მაგრამ მაინც ყურადღება არავინ მიაქციაო. ეს კლდის ნაპერი მაშინვე გადმოიქცა, რაკი ეტლმა გაიარა ამ გზაზედაო. სულ ას ნაბიჯზედ გაასწრო ეტლმა ზვავსაო. ამ ჟამად ოთხი ამისთანა გადმოსაქცევად მომზადებული კლდის ნაპერია კიდევაო. ამათში ყველაზედ საშიშარი არის ბალტის გზის სადგურიდგან ლარსისკენ ოთხს ვერსზედ. ყველას ეუბნებიან ამას და არავინ კი ყურადღებას არ აქცევს. იქნება ეხლა ამ გაზეთში გამოცხადებამ მაინც უშველოს რამეო...»

⁂ **ნება აქვს სასამართლოს ბოქაულს, რომ მომჩივანის თხოვნით მოვალეს ჯიბეები აუწეროს, თუ არა?** ეს საპასუხო საგანი ამას წინედ მეტად მარტივად აუხსნია ერთს აქაურს სასამართლოს ბოქაულს. ამ ვაჟბატონთან ძალათი მოიყვანეს ვიღაც მალაკანი, რომელიც ვალს არ იხდიდა თურმე. სასამართლოს ბოქაულმა განკარგულება მოახდინა და მიიწვია პოლიციის მოხელე და ორი პოლიციის ჯარის-კაცი. ბოქაულის ბრძანებით, ერმა პოლიციელმა დაიჭირა თურმე მოხუცი მალაკანი და მეორემ ჯიბიდგან ამოაცალა ქისა. ქისაში 40 მანათი ფული იყო. რადგანაც კანონის ძალით ყოველივე მოძრავი ქონება უნდა დაწვრილებით აიწეროს, სასამართლოს ბოქაულსაც მალაკნის ქისა აუწერია: 1) მოპასუხის შარვლის ჯიბეში, რომლის სიგრძე (!) ¼ ადლია და სიგანე 2 გოჯი, ვიპოვნეთ ქისა ყვითლის ტყავისა; ამ ქისაში აღმოჩნდა მოპასუხის მოძრავი ქონება: ქაღალდის ფული 40 მანათისა... («ნოვ. ობოზ.»)

⁂ 18 აგვისტოს, მე-4 ნაწილში, გორის მცხოვრებელმა გიორგი ზაზუნაშვილმა თავისი დროშკა მოსდო ექიმ ბაზოვის ეტლსა და გადააბრუნა. ცხენი დაფრთხა, გადმოაგდო „კუჩერი“ ბაზოვისა აიზიტულლა ბიჩურინი და მძიმედ დაშავდა. დაშავებული სამკურნალოში გაჰგზავნეს. დამნაშავე პასუხის-გებაში მისცეს.

⁂ 18 აგვისტოს, 1 ნაწილში, პოლიციის მოხელეთ ქალაქის ექიმის თანდასწრებით გადაუყრევინებიათ დიდ-ძალი საზამთრო და ნესვი და 8 „პოვოზკა“ ლორი და ქეხვი.

⁂ 13 აგვისტოს, მე-4 ნაწილში, ვართაშენის მცხოვრებლის ხარაზის მელიქიანის დუქანი გაუტეხნია ამ ხარაზის შეგირდსავე სპარსეთის ქვეშევრდომს ოჰანეზ ავეტიქოვს და 50 მანათი ფული გაუტანია. დამნაშავე დატუსაღებულია. გამოძიება სწარმოებს.

ნაკვესი

ელჩი სადმე მოუვიდა მეფე ერეკლეს, რომელმაც სტუმრის საპატიოდ დიდი მეჯლისი გამართა. შუა ღხინში გამხიარულებული მეფე მიუბრუნდა სოლომონ მსაჯულს და ჰკითხა: როგორ მოგწონს ნადიმიო.

— კარგია, მეფეო! გარნა ეს ნადიმი მამი თქვენისაა და არა თქვენი. თქვენი შვილები ამისთანა ნადიმს როცა გამართვენ, აი თქვენი მაშინ იქნებაო, უპასუხა მსაჯულმა.

მეფე მიუხვდა, რომ ბატონიშვილებს გადაუკრა ეს სიტყვა. ჩაფიქრდა და თვის თხელ წვერზე წაივლო ხელი.

ლელო.

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ქ. ახალ-ქალაქი, 4-ს აგვისტოს. ორივ მხრივ ახალ-ქალაქს ჩამოუდის მდინარეები: «თოფარავან-ჩაი» და „დილიფ ჩაი“; პირველი გამომდინარეობს თოფორავნის ტბიდამ; «დილიფ-ჩაის» სათავე იწყობა სოფ. დილიფიდამ და ჩამოუდის ახალ-ქალაქს დასავლეთით.

ახალ-ქალაქში რიგიანი დუქან-ბაზარია; აქ არის ერთი დიდი ქუჩა. ამ ქუჩის პირად აქვთ დუქნები: მიკიტ-

---

მოსამსახურეებმა კისერში ცემით ჩამომათრიეს კიბიდგან.

მოველ სახლში; ჯერ დავიწყე ტირილი და მერე ხა, ხა, ხა, ხა, ხე, ხე, ხე, ხე!!...

ხუთშაბათი

მომიკვდა შვილი. მიველ ჩემს მოძღვართან; ვსტირი, ვსთხოვ, დამარხოს და შენდობა მისცეს... მე თრთოლვით მივართვი აბაზი. განა არა,—ეჰ, ღმერთო, ღმერთო!... აბაზიანი არ ეკადრებოდა... ვინ ამბობს... აბაზიანს დავუწყე ძებნა... გაჭირდა საქმე: უფულობა ძნელია; რას ვიზამდი?..

გამოველ, წაველ სახლში; ჯერ დავიწყე ტირილი და მერე ხა, ხა, ხა, ხა, ხო, ხო, ხო!..

პარასკევი

მიველ რედაქტორთან.

— ბატონო! გახსოვსთ თუ არა, როდესაც თქვენ მიიღეთ ერთი ჩემი მოთხრობა? თქვენ მაშინ მიბრძანეთ, რომ კარგად შეგიძლიანთ მუშაობა ჩემს ჟურნალშიო და ზეგარდმო მონიჭებული ნიჭი მრთელს მოთხრობაში გამოსჭვირსო. ეხლა კიდევ მოვიტანე მეორე ამ გვარი შრომა. არ შეიძლება, რომ მიბოძოთ რამე შემწეობა... რამოდენიმე გროში...

— თუ შეიძლება ზეგ შემოიარეთ.

დავბრუნდი. გავიდა სამი დღე, შევდივარ რედაქციაში ერთხელ, ორჯელ, ოთხჯერ, ასჯერ. ბოლოს მიბრძანა ბატონმა რედაქტორმა:

— შეგიძლიანთ უკან წაიღოთ თქვენი თხზულება, რადგანაც ის არ იქნება საინტერესო მკითხველებისათვისაო.

— ბატონო, ბატონო, მეორე შვილი მიკვდება. მიბოძეთ ერთი მანათი და ჩემი ნაშრომი დაიტოვეთ. მომცეს ერთი მანათი. დაბეჭდეს ჩემი თხზულება; მკითხველებს მოეწონათ, მეც მომეწონა, რადგანაც თითო-თითო სიტყვა ცრემლით იყო შეზავებული და გალესილი.

ვაიმე, ვაიმე, ამოვიოხრე. წაველ სახლში, ჯერ დავიწყე ტირილი და შემდეგ ხა, ხა, ხა, ხო, ხო, ხე, ხე, ხე!!.

შაბათი

საყდრის ახლოს დავდექი და ჩავუდექ მათხოვრებს შუაში. გამოდის მდიდარი. გაუშვირე ხელის გული. მდიდარმა მრისხანებით გადმომხედა:

— ოჰ, სად არის პოლიცია, რომ ამ გვარი გლახაკი დაატუსაღოს. ეგ უსირცხვილო, ჩაცმულია მშვენივრად, ხელ-ფეხი მრთელი აქვს, თვალებიდგან კარგად იჭყიტება და მაინც უქმად დადის და აწუხებს დიდს ფიქრებში გართულს ხალხსაო.

დავუშვი ხელი; წამოველ სახლში; ჯერ დავიწყე ტირილი და მერე ხა, ხა, ხა, ხა!!.

კვირა ძალი

მიკვდება მესამე შვილი. მივდივარ ექიმთან.

— ფაეტონი მოიყვანე?

— არა, ბატონო, შეძლება არა მაქვს, მიჰხედეთ ღმერთსა, ნუ მომიკლავთ ჩემს უკანასკნელ ნუგეშსა.

— გადი, გადი! წადი, სხვა გულმტკივნეული ექიმი მოძებნე. გიჟი ხომ არა ხარ? არ გესმის?

დავკიდე თავი; წამოველ სახლში, ჯერ დავიწყე ტირილი და მერე ხე, ხე, ხე, ხა, ხა, ხა...

კვირა

გავმართე ლხინი, გავმართე ძვირფასი სადილი, მოვრთე სახლი ძვირფასის ნივთებითა, მოვუწოდე მთელს ქალაქსა. გაჩნდა ქეიფი: მუსიკა, ზურნა, დაირა, ჩონგური, ჭამა, სმა, სადღეგრძელო. თქვენი ჭირიმე! დავლიოთ, დავლიოთ, გენაცვა!

მოდიან, მოდიან, მოდიან და მოდიან. და ვინ მოდის? მოდის ჩემი ძველი ბატონი, მოდის ჩემი კეკლუცი სალომე, მოდის ჩემი ნივთების გამაფასებელი, მოდის მუცუკა-ხუცუკა; მოდის რედაქტორი, მოდის მკიცხავი ჩემის თხოვნისა და მჩაგვრელი ჩემის დატუსაღებისა; მოდის, მოდის და რა მოდის — თავის ფორმით ჩემი ძველი ექიმი! ბატონი ღიმილით ხელს მართმევს, სალომეს მივყევარ ოთახში, აქრობს გაჩაღებულს სანთლებს, მეხვევა, მკოცნის, თრთის, სტირის, მეუბნება, წავიდეთ, დავიკარგოთ და ვიცხოვროთ ერთად; თანახმა ვარ დავტოვო ქმარი, შვილები, ნათესავები, მეგობრებიო. ხელს მართმევს **ფულის ღმერთი**, მეუბნება: ხომ არ გინდა რამოდენიმე ათასი მანეთი, გაძლევ უვექსილოდაო; მეხვევა მოძღვარი, მეუბნება, რომ გულით მსურს თქვენი კარის მღვდლობაო. მკოცნის რედაქტორი და მთხოვს მე თხზულებასა განსამშვენიერებლად ჟურნალისა; მორბის მდიდარი და მეუბნება...

— ერთი დიდი სახლი გავმართოთ გლახაკების თავ-შესაფარავადაო. თავს მიკრავს მოწიწებით ექიმი—მე უფულოდ ვიშრომებ გლახაკთათვისაო.

გადით, გადით, თქვე უღმერთოებო, თქვე, თქვე გულ გამშრალებო, ნამუსზე ხელ-აღებულებო; გადით, გადით მეთქი, თქვე ორ-პირებო! აბა, ჰა! ლეზინო, დაირა! აბა ლეკური, ლეკური!!.

მთელი ღამე ქეიფში გავატარეთ და გავათენეთ. გათენდა... შეველ ბაღში, დავჯექ წყლის პირად, ჯერ დავიწყე ტირილი და შემდეგ ხა, ხა, ხა, ხე, ხე, ხე, ხი, ხი, ხი, ხო, ხო, ხო!!.

ვაიმე, ვაიმე, ნუ თუ ასე გაგრძელდება ეს ჩვენი წუთის სოფლის ცხოვრება?!.

კაი

ნებს, მეწვრილმანებს, მექვაბეებს და ოქრო-მჭედლებს. აქვეა სამაზრო გამგეობა, ფოსტა-ტელეგრაფის კანტორა; ქუჩა მოკირწყლულია ფილაქანის ქვით და გვერდებზედაც მისდევს „ტროტუარი“.

აქაური ვაჭრები სულ სომხები არიან, მხოლოდ ოთხს ქართველს აქვს საწვრილმანო დუქანი. ქალაქის ფართო მეიდანზე გამართულია სასწორი, რომლის გარეშემო სხვა-და-სხვა ხელოსანთა დუქნებია: მღებრისა, დურგლისა და სხ. გლეხს დილით მიაქვს გასასყიდად საქონელი მეიდანზედ და ვაჭრობს. როგორც სხვაგან, ისრე აქაც, გლეხებისაგან იაფად ჰყიდულობენ საქონელს და მერე ქალაქის მცხოვრებლებზე ერთს ორ ფასად ჰყიდიან. აქ მხოლოდ ერთი კაცი ვაჭრობს სინიდისიანად; ეს ვაჭარი ყველა ბაზაზებზედ და მეწვრილმანეებზე იაფად ჰყიდის. დუქნებში რიგიან ღვინოს ვერ იშოვის კაცი და თუ იშოვა, თუნგი სამი ან ოთხი მანათია; მდარე იმერული ღვინო, რვა—ცხრა აბაზად იყიდება.

ახალ-ქალაქში ქუჩები სუფთად აქვთ შენახული; საზოგადოდ აქ სისუფთავეა; ხოლო ამას ვერ ვიტყვით ურიების უბანზე. აქ ბინძურობაა, სახლებიდამ და ეზოებიდამ რაღაც ნაირი სიმყრალე გამოდის; მაინც საზოგადოდ ურიები, ჩვენში ყველგან ბინძურად და უსუფთაოდ სცხოვრებენ.

ახალ-ქალაქში არის ორ-კლასიანი საერო სასწავლებელი, რომელშიაც მრავლად დაიარებიან მოწაფეები. ახალ-ქალაქის მაზრაში, თითქმის ყველა სოფლის საზოგადოებაში, დაარსებულია სახალხო სკოლები. ისეთი საზოგადოება არ არის, რომ სკოლა არა ჰქონდეს. სკოლებში მასწავლებლად ქართველებიც ბლომად არიან, მაგრამ მიმალულან და არასფერს მონაწილეობას არ იღებენ საზოგადო საქმეებში და არ აცნობებენ თავიანთ მხრის ამბებს საზოგადოებას; როგორც სჩანს ახალ-ქალაქის მაზრაში ცოტად თუ ბევრად განათლებული კაცები მოიპოვებიან; მაგრამ, ზემოდაცა ვსთქვით, მიმსხდარან და დასჯერებიან იმ სწავლა-განათლებას, რაც ოდესმე მიუღიათ. წარმოიდგინეთ, რომ ამოდენა მაზრაში, ამდენს განათლებულს ხალხში, სულ სამი კაცი იწერს გაზეთსა, სულ სამი ნომერი მოდის „ივერიისა“.

კარანთელი

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

გაზეთი «Московскія Вѣдомости» დღეს კიდევ უბრუნდება ბოლგარიის არეულობას. გაზეთს ერთი მოზრდილი მეთაური წერილი მოუნდომებია ამ საქმისთვის და ბევრს მაგარს შოლტს არტყამს როგორც მთავარ ალექსანდრეს, ისე მთელს ევროპას.

> მას შემდეგ, რაც ოსმალ-ბოლგართა ხელთ-შეკრულობა დადგენილ იქმნა, ესრედ-წოდებულს, ევროპიის მოედნებზე სულ ბატენბერგის ქება და დიდება გაისმოდაო, ამბობს გაზეთი. ბატენბერგი გმირია, ბატენბერგი ბრძენი სახელმწიფო კაცია, ბატენბერგი ნიჭიერი, გენიოსი დიპლომატიაო,—აი რა სიტყვებით ამკობდნენ მთავარ ალექსანდრეს დასავლეთს ევროპაშიო. მაშინ ხომ, როდესაც ბატენბერგმა ეს გაზვიადებული ხელთ-შეკრულობა გვერდზე გადადო, როგორც უმნიშვნელო ქაღალდი, და თავის ნებაზე დაიწყო მოქმედება, ევროპიის პოლიტიკები სიხარულით აღარ იყვნენ და ყველანი ერთ-ხმივ გაიძახოდნენ, რომ ბატენბერგი სწორედ ისეთი კაცია, როგორიც გვინდოდაო, რომ ბატენბერგს შეუძლიან შეჰქმნას ის „დიდი“ ბოლგარია, რომელიც ევროპას ასეთს შიშის ზარსა სცემდა, როდესაც წინად ამაზედ ლაპარაკი ჩამოვარდებოდა ხოლმეო. დღეს?—დღეს-კი საუცხოვო სანახავის მაცქერალი იყო მთელი განათლებული ქვეყანა: დიდნი სახელმწიფონი ევროპიისა არამც თუ უშლიდნენ ბატენბერგს მის ცხადად ავაზაკობას, პირ-იქით აქებდნენ, აქეზებდნენ, რომ უფრო მეტი უკანონო საქმეები ჩაედინა. თუ ჩვენ ხმას ამოვიღებდით და პირდაპირ ვუჩვენებდით რაიმე უკანონო საქციელს ბოლგარიაში, მაშინვე ყვირილს დაიწყებდნენ.

ასე მიდიოდა საქმე, ვიდრე თვით ბოლგარებმა არ გაიღვიძეს, არ შეიგნეს ის ბოროტი, რომელსაც ბატენბერგი სჩადიოდა.

> თუმცა დიდს გაჭირვებაში იყო ბოლგარია, თუმცა დიდი შუღლი და უსამართლობა ტრიალებდა ბოლგარიაშიო, ამბობს გაზეთი, მაგრამ ბევრი კეთილ-საიმედო და კეთილ-გონიერი კაცებიც აღმოჩნდნენ. აღმოჩნდნენ იმისთანა კაცებიც, რომელნიც ერთგულად ზრუნავდნენ თურმე თავიანთ ერსა და სამშობლოზე.

თუმცა დღეს ასე დატრიალდა ბოლგარიის საქმე, მაინც კიდევ ბოლგარიის ერს დიდი გაჭირვება და განსაცდელი მოელის. გაზეთის აზრით.

⁂

გაზეთს «Новороссійскій Телеграфъ»-ს ლაპარაკი აღუძრავს დღეს რუსეთისა და ევროპიის ეკონომიურს მდგომარეობაზედ და აი სხვათა შორის რას ამბობს:

> ევროპაში და ჩვენში ეკონომიური მდგომარეობა სრულიად სხვა-და-სხვა მიზეზის გამოა გამოწვეულიო: ევროპაში ეკონომიურის გაჭირვების მიზეზი ის არის, რომ წარმოება აღემატება მოთხოვნილებას, ბევრსა შრომობენ, ბევრს ირჯებიან, საქონელი ბევრია და მომხმარებელი, მყიდველი კი ცოტა, ჩვენში კი პირ-იქით ეკონომიური მდგომარეობა ჩვენის ზარმაცობისა და ხელთ-უქმნელობისაგან წარმოსდგებაო, ჩვენ სრულიად ყურადღებას არ ვაქცევთ ერთად ერთს წყაროს ჩვენის სიმდიდრისასა,—მიწის მუშაობასაო, ჩვენ გვრცხვენიან ამაში გულ ახდილად გამოვტყდეთ, ვეძებთ სხვა-და-სხვა მიზეზებს და ნამდვილ უმთავრესს მიზეზს კი ყურში არ ვუშვებთო.

უმთავრესი მიზეზი კი, რაც უნდა ბევრი ვმალოთ, ისევ ის იქნებაო, ამბობს გაზეთი,

> რომ ჩვენ მიწის მოსავალი ბევრი მოგვყავს, და უფრო მეტი გაგვაქვს საზღვარს გარედ, თუმცა შინ კი ჩვენ თვითონ გვიჭირსო. გაგვაქვს იმიტომ, რომ ფული გვიჭირს და ფულიც გვიჭირს იმიტომ, რომ გარჯას, ფულის შეძენას მიჩვეულნი არა ვართ, და მდიდრული ცხოვრება გვიყვარსო, დროა, ახალ-გზას დავადგეთ, რომ თავიდამ მოვიშოროთ დღევანდელი ეკონომიური გაჭირვება; ეს ახალი გზა სიმდიდრესაც შეგვძენს და კეთილ ცხოვრებასაცაო.

ეს ახალი გზა, გაზეთის აზრით, ის არის, რომ განათლებული ხალხი სოფელში დაბრუნდეს და მიწის მუშაობას შეუდგეს.

ყოვლად პატიოსანი, — მაგრამ საქმე იმაშია, როგორ და რა გზით უნდა მოეწყოს ეს საქმე. ვისაც მიწა და მამული აქვს, იმას სურვილი არა აქვს სოფელში იმუშავოს, და ვისაც კი სურვილი აქვს, იმას მიწა და მამული არა აქვს.

წერილი რედაქციის მიმართ

გაზეთ «ივერიის» მე 152 ნომერში დაბეჭდილია წერილი ფოთის სასწავლებლის მასწავლებლისა ბ-ნი მ. ჩ....სა შესახებ ქართულის წარმოდგენისა, რომელიც ვითომ 6 ივნისს იყო გამართული. თუმცა ცოტა დავაგვიანეთ, მაგრამ მაინც ვარდგენთ ივნისის 6 ს გამართულის წარმოდგენის ანგარიშსა.

წარმოდგენა ივნისის 22-ს იყო გამართული ფოთის კლუბში; მრავალი ხალხი დაესწრო. აი ამ წარმოდგენის ანგარიშს მოუთმენელობით მოელის ფოთის საზოგადოება.

სულ იყო ბილეთები . . .	203 მან.
დარჩა გაუყიდველი	58 »
გაიყიდა . .	145 მან.
ხარჯი	49 მ. 75 კ.
დარჩა ნისიად გაყიდულის ბილეთებისა სხვა-და-სხვა პირებზე	13 მან.
ამის გარდა სცენისათვს საჭირო ნივთებში მიეცა .	4 მან.
(ეს ნივთები დარჩა სცენის სასარგებლოდ.)	
ნაღდი ფული	78 მ. 25 კ.

ამ ფულიდგან 30 მან. მიეცა ორს ღარიბს, აქაურს საქალაქო სკოლაში კურს გათავებულებს, რომელნიც ტფილისში წავიდნენ სასწავლებლად,—თითოს თხუთმეტი მანათი. დანარჩენი 48 მან. და 25 კაპ. გავგზავნე ფოსტით ტფილისს «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას», რომელიც, იმედი გვაქვს, გვაცნობებს ან ფოსტით, ან გაზეთით, რომ ჩვენგან გაგზავნილი ფული მიიღო.

თუ აქამდის არ გამოვაცხადეთ ეს ანგარიში, მიზეზი გახლდათ ის, რომ გვინდოდა ის 13 მანათიც, რომელიც ასაღები დარჩა, მოგვეკრიბა და ერთიანად გაგვეგზავნა ზემოხსენებულის საზოგადოებისათვის; რადგანაც ეს ვერ მოხერხდა, 13 მანათი გაეგზავნება საზოგადოებას მაშინ, როდესაც შევკრებთ.

პავლე იეზოვი

ქ. ფოთი

რუსეთი

— ამას წინად ტალიანის სასოფლო სასამართლოში გაურჩევიათ ორის გლეხის საჩივარი ბ-ოვისა და ხ-ნისა. ხ-ნს სასამართლოში უთქვამს: ბ-ნო მოსამართლენო, გთხოვთ, რომ ვიდრე ჩვენის საქმის გარჩევას დაიწყობდეთ, გასინჯოთ ჩემი მოწინაამღდეგე ბ-ოვს რაღაცა ჯადოები გაუკეთებია და ამ ჯადოებით განზრახვა აქვს თქვენ, მოსამართლეთ, თვალები აგიხვიოთ, რომ მაგისი ბრალდებულება ამ საქმეში არ დაინახოთო. ამიტომ გთხოვთ, რომ უწინარესს ყოვლისა, გამოართვათ ის ჯადოები, რომელნიც, უეჭველია, ზედ ექმნება გაკეთებული და შემდეგ საქმის გარჩევა დაიწყოთო. მოსამართლეთ შეუწყნარებიათ მთხოვნელის სიტყვა და გაუსინჯავთ ბ-ოვი. ბ-ოვის ქუდში უპოვნიათ რაღაც ბალახ-ბულახი და ფალასის ნაჭრები, რომელნიც ზემოხსენებულ ჯადოებად უცვნიათ. სასამართლოს, ვიდრე საქმეს გაარჩევდა, შემდეგი განაჩენი დაუდგენია: „იმის გამო, რომ გლეხი ბ-ვი სასამართლოში ჯადოებით გამოცხადდა, უნდოდა ჩვენთვის თვალები აეხვია და ამით თავი ემართლა, დაეკრას ოცი წკეპლაო.“ განაჩენიც აღსრულებიათ. ეს მაგალითი აშკარად ამტკიცებსო, ამბობს გაზ. „Русс. Кур.“-ი, თუ რამდენად არის ჯერ კიდევ გავრცელებული ჩვენ ხალხში სხვა-და-სხვა გვარი ცრუმორწმუნეობანიო.

— 11 აგვისტოს, მოსკოვის ახლო, ესრედ წოდებულს, ვარაბიევის მთაზე თავი მოუკლავთ სამს ახალ-გაზდა ყმაწვილ კაცსა. ამ დღეს ხმა გავრცელებულა სოფ. ვარაბიევში, რომ ვარაბიევის მთაზე სამი მკვდარი იპოვნესო. ხალხი და პოლიცია მაშინვე წასულან და უნახავთ სამი დასისხლიანებული გვამი. ორი უსულო და მესამე ძლივსღა სუნთქავდა თურმე. იქვე გდებულა ექვს ლულიანი დამბაჩა. ჯერ ისევ ცოცხალა ლინდემანი სამკურნალოში გაუგზავნიათ. სამივე თვით-მკვლელნი 19—20 წლის ახალ-გაზდა ყმაწვილ-კაცები არიანო. ლინდემანის ჯიბეში უპოვნიათ ძმასთან მიწერილი ბარათი, რომელშიაც აღიარებული ყოფილა, რომ: „მე და ჩემმა ამხანაგებმა—ერშოვმა და კისელევმა პირობა შევკარით და ერთმანერთს დამბაჩა ვესროლეთ, რადგან სიცოცხლე მოგვბეზრდაო.“

— 12 აგვისტოს, მოსკოვში იქაურ ცეცხლის მქრობელ კომანდის უფროსად ნამყოფს კოლლეჟსკი სეკრეტარს ე. ფ. კუშინს, 50 წლის მოხუცს, ცელით მოუკლავს თავის 45 წლის ცოლი. მსხვერპლს თავი ცელით რამდენსამე ადგილასა ჰქონია გატეხილი და თითები დაჭრილი. კუშინს თითონვე შეუტყობინებია სასამართლოსთვის ეს ამბავი. როგორც ამბობენ, კუშინს ეს ავაზაკობა თავის ჭკუათა არა მყოფელობის დროს ჩაუდენიაო.

— იმის გამო, რომ სამზღვარ-გარედამ საჭირო წამლების გამოწერა, ძალიან ძვირადა ჯდება, ერთს ვარშაველს აფთიაქის პატრონს ვარშავის ახლო-მახლო გაუმართავს დიდი ლაბორატორია და ამ ლაბორატორიაში გააკეთებენ ყველა წამლებს, რომელთაც კი აქამდე სამზღვარ-გარეთიდამ ვიწერდითო.

უცხოეთი

ავსტრი-ვენგრია. ვენიდამ სწერენ გაზეთ «Новое Время»-სა: ბოლგარიაში მთავარი ალექსანდრე ბატენბერგი რომ ტახტიდამ გადააყენეს, აქ ყველაზე დიდი ზედ-მოქმედება იქონიაო. ხოლო დიპლომატებს და პოლიტიკებს აგრე რიგად არ გაჰკვირვებიათ ეს ამბავიო, და არ გაუკვირდათ იმიტომ, რომ ამ ბოლოს დროს ხშირ-ხშირად იწერებოდნენ: მთავარ ალექსანდრეს ყოფა-ცხოვრება საფთხეშიაო, იმას ბოლგარიაში დიდი დღე აღარა აქვსო. თვით მთავარი სწერდა თავის მამას, გესსენის პრინცს ალექსანდრეს, მე ამ ჟამად ერთობ გაჭირვებულს ყოფაში ვარო და თუ თავს დავიხსნი ამ გაჭირვებიდამ, სასწაული იქნებაო.

აქაური დიპლომატები დარწმუნებულნი არიან, რომ აღმოსავლეთის საქმეს ახლა კი ბოლო მოეღებაო. ამბობენ, ვითომ ვენაში იცოდნენ, რაც ბოლგარიაში უნდა მომხდარიყო. მაგრამ ეს ტყუილიაო. კალნოკიმ ცნობა მთავრის შეპყრობისა მარიამობისთვის 11-ს მიიღოო.

— ოფიციოზური გაზეთი „Press“-ი მთავრის შეპყრობის გამო სწერს, რომ ევროპის მშვიდობიანობას შიში არა აქვსო; კისინგენს, გასტეინს და პეტერგოფში ერთმანერთის ნახვა გვაიმედებს, რომ მშვიდობიანობა ხელშეუხებელი იქმნებაო. ჩვენ იმ აზრისანი თავის დღეში არ ვყოფილვართ, რომ რუსეთს სახელი გასტეხიყო ბალკანის ნახევარ-კუნძულზე და მნიშვნელობა აღარა ჰქონიყოსო. ჩვენ რუსეთს პირ-იქით ხელს ვუმართავდით, რომ თვისი ძალა, თვისი ზედ-მოქმედება ექონია ხსენებულს ნახევარ-კუნძულზე, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ ნახევარ-კუნძულის დასავლეთის მხარეში არ დაეშალნა ჩვენც გვქონოდა გავლენა და ზედ-მოქმედებაო. ჩვენ თანხმანი ვართ, რომ რუსეთმა ისევ ის სახელი და პატივი მოიპოვოს ნახევარ-კუნძულზე, ე. ი. დუნაისა და მარიცის შუა მდებარე ადგილებზე, როგორც ადრეცა ჰქონდაო.

მუდამ დღე და მუდამ საათს სხვა-და-სხვა ნაირის აზრის დეპეშა მოდის, — განაგრძობს კორრესპონდენტი,—არ იცის კაცმა, როგორ მოჰხდა ბატენბერგის ტახტიდამ გადაყენა. ათას ნაირად ლაპარაკობენ და სჯიან. ეხლა ამბობენ, რომ ბატენბერგი ათი-ათასის ჯარის-კაცით ვიდინიდამ სოფიაში მიდისო. ზოგი ამბობს, ვიდინში რომ მივიდა მთავარიო, იკრა შუბლში ტყვია და თავი მოიკლაო. მაგრამ ნამდვილი ცნობები კი ეს არის: ბატენბერგი შეუპყრიათ და ერთს მონასტერში ყარაულს ქვეშა ჰყოლიათ; მერე იდუმალად ლომ-პალანკში წაუყვანიათ. ამასაც ამბობენ, რომ ვიდინის მეციხოვნე ჯარი ახალის მართებლობის მომხრე არ არისო. გუშინ, 11 აგვისტოს, ქალაქი სოფია ბაირაღებით იყო მორთული და ემზადებოდნენ, რომ სალამოთი ჩირაღდნები აენთოთ.

ვენაში მყოფს ბოლგარიის აფიცრებს პანოვს, ნიკოლაევს და პანიცას გაუკვირდათ, ბატენბერგის შეპყრობის ამბავი რომ გაიგესო. ჩვენ სრულიადაც ვერ წარმოვიდგენდით, თუ ეს საქმე მოხდებოდაო. აფიცრები ახლა იმას ამბობენ, სერბიასთან რომ ომი სწადდა მთავარსა, სწორედ ამ გარემოებამ მოუსწრაფა მის მთავრობას დღეო.

* * *

სერბია. ბოლგარიის საქმეებს სერბია ძალიან დაუფაცურებია; შეუტყვიათ თუ არა მთავრის შეპყრობის ამბავი, მაშინვე შეკრებილან მინისტრები; კრებას დასწრებია გენერალი ლეშანინი და სხვა წარჩინებული ჯარის-კაცნი. გუშინ, 13 აგვისტოს, დილით კიდევ შეკრებილან; კრებაზე თვით კოროლი თავს-მჯდომარეობდაო. კოროლი აღარ მიდის გლეიხენბერგში. გარაშანინისთვის, სერბიის მთავარ-მინისტრისათვის, დეპეშა გაუგზავნიათ, რომ ჩქარა წამოდი გლეიხენბერგიდამაო. ბოლგარიის საზღვრებიდამ არაფერი ამბები არ მოდის. ბელგრადსა და ვენას შუა განუწყვეტელი დეპეშების მიწერ-მოწერა იყოვო.

* * *

ოსმალეთი. გაუკიათ თუ არა სტამბოლში ბატენბერგის შეპყრობა და ტახტიდამ ჩამოგდება, ხონთქარს მაშინვე მიუწერია თავის წარმომად-

გენლებისათვის უცხო ქვეყნებში: ბოლგარიის საქმეები, მთავრის გადაყენება იმდენად საინტერესოა ჩვენთვის, რამოდენათაც სხვა სახელმწიფოებისათვისაო. დღეიდამ რკინის გზით მისვლა-მოსვლა რუმელიასთან შეწყვეტილიაო, თუმცა კი გზები არავის გაუფუჭებიაო. ადრიანოპოლშიაც გაეგზავნათ ბრძანება, რომ რუმელიაში წამსვლელთ ბილეთებს ნუ მისცემენ. აქ მოსული ცნობებიდამ სჩანსო, რომ რუმელიის ჯარებსა, ვიდინისა და შუმლის მეციხოვნეთა, არ მოსწონთ ეს ამბები, წინააღმდეგნი არიან, მთავარი რად ჩამოაგდეს ტახტიდამაო. სოფიაში ეხლა ორი დასიაო, ერთს უნდა მთავრის დაბრუნება, მეორე კი წინააღმდეგიაო. ეს დასები ერთიერთმანერთს მტრულად უცქერიანო. ვიდინისა, შუმლისა და პლევნის მეციხოვნე ჯარებს ფიცი არ მიუღიათ ახალის მართებლობის ერთგულებაზეო. ამბობენ, რომ ნიკიფოროვისთვის არ უკითხავთ და ისე დაუნიშნავთ სამხედრო მინისტრადაო და წინააღმდეგობას გამოუცხადებსო. საზოგადოდ ოსმალეთის ჟურნალ-გაზეთები არ იკვლევენ ბოლგარიის საქმეთა მიზეზებს, ისინი მხოლოდ იმას ამბობენ, რომ მთავარი მოწინააღმდეგე დასმა განდევნაო; მთავარი გაეცალა ბოლგარიასაო; ამის გამო მშვიდობიანობა და წესიერება არ დარღვეულაო; პორტაც თავის მხრივ შესაფერს გზას დაადგებაო

— ოსმალეთი უფრო-და-უფრო ემზადება და თოფს ქვეშ აყენებს ჯარებსა, როგორც ევროპაში, ისე აზიაში. სამხედრო მინისტრს მიუწერია სირიის სამხედრო მმართველობისათვის, რომ დროებით დათხოვნილნი ჯარის-კაცნი ფიცხლავ შეაგროვეთო. ბევრგან კიდეც შეუკრებიათ ჯარები და ჰგზავნიან სალონიკშიო. ასე საწრაფოდ იმიტომ აგროვებენ ჯარებსა ოსმალეთშიო, რომ ერთის მხრივ ბოლგარიის დარდი აქვსთ და მეორეს მხრივ სომხეთისაო. ამ ბოლოს ხანებში ისე გამწვავდა სომხეთში საქმეო, რომ ოსმალეთი დარდში შეიყვანა და ძრიელ აწუხებსო. ძალიან არ მოსწონთ სომხებსა, რომ ინგლისი ასე გულ-ცივად ეპყრობა სომხეთსა და ყური არ უგდო მის გაჭირვებულს ყოფასაო.

* * *

ინგლისი. რუსეთსა და ავგანს შორის მიჯნის დამდები კომისია დაითხოვეს; ამ ამბავმა ლონდონში ხალხი ცოტა არ იყოს, რომ აალელვა, მაგრამ თვით მთავრობა დიდს ყურადღებას არ აქცევს. კომისიას ის მოვალეობა ჰქონდა, რომ რუსეთსა და ავგანისტანს შორის მიჯნა დაედო; მოვალეობა თითქმის შეასრულეს: მიჯნა ხოჯა-სალექამდე გაიტანეს, რომელიც საზღვრის განაპირა ადგილია და აქ ცოტა რამ უთანხმოება გამოერიათ. ამ საქმეს შინაურულად დააბოლოვებენ პეტერბურგსა და ლონდონშიო, რადგანაც კომისიის აზრი ამ სადაო საქმის თაობაზე ორთავე მართებლობამ იცისო.

— ჩინეთის ელჩი მარკიზ ტცენგი ახლა ლონდონში მიდის. ჩინეთსა და ინგლისს შორის ბირმის სახელმწიფოს გამო ცოტა რამ უსიამოვნობა ჩამოვარდა; ახლა ტცენგი ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრს ლორდს იდდესლეის უნდა მოელაპარაკოს ამ საქმის თაობაზეო. საქმე თითქმის გათავებულია, ჩინეთი და ინგლისი თითქმის მორიგდნენო, მხოლოდ ზოგიერთი საკითხავები აქვთ გადასაწყვეტი და გასათავებელიო.

დეპეშა

აგვისტოს 18-სა

ქურქევო. სტამბულოვს ულაპარაკნია „ჰავასის" სააგენტოს კორრესპონდენტთანა და ასე დაუხატავს მისთვის დღევანდელი მდგომარეობა ბოლგარიისა: ამ ჟამად ბოლგარიაში ორი მთავრობააო; ერთი კარაველოვისა, რომელიც სოფიაში ბრძანებლობს, ხოლო მეორე ჩემის მეთაურობით მთელს დანარჩენს ბოლგარიაში და აღმოსავლეთ რუმელიაში შეწყნარებულიო. მე კარაველოვს იმიტომ გადავუდექი, რომ კარაველოვს უნდოდა რუსეთის კომისარი მოეწვია იმ ამბების განსახილველად, რომელიც ბოლგარიაში მოხდა, ხოლო მე მსურდა, რომ მშვიდობიანობა და წესიერება აღვადგინა რუსეთის კომისრის მოუწვევლადაო. ის მთავრობა, რომელზედაც არის ლაპარაკი ჩემს პროკლამაციაში, უნდა ითვლებოდეს ბოლგარიის ჭეშმარიტ მთავრობად იმ დრომდე მაინც, ვიდრე ალექსანდრე მთავარი დაბრუნდება სოფიაში.

რახოვში შეიპყრეს მაიორი გრუევი, ვიდინში დაატუსაღეს რამდენიმე ოფიცერი. ცანკოვი სოფიაშია, მაგრამ მკაცრად კი ადევნებენ თვალყურს.

სისტოვო. ალექსანდრე მთავარი გამოვიდა რუშჩუკიდამ გემით დილის 4 საათზე და 8 საათზე მობრძანდა სისტოვოში. ერთის საათის შემდეგ მთავარი ტირნოვოს წაბრძანდებაო და სადამომდინ მოუნდება მისვლასაო.

ვენა. „პოლიტიკურს კორრესპონდენციას" აუწყებენ რუშჩუკიდამ, რომ ბოლგარიის რეგენტობამ, რომლის მოთავედ სტამბულოვი იყო, გარდასცა სახელმწიფო უფლება ალექსანდრე მთავარსაო. კარაველოვიც, რომელიც წევრი იყო რეგენტობისა, აგრეთვე ხელს აიღებს თავის თანამდებობაზედაო.

19 აგვისტოს

პეტერბურგი. «Правительственный Вѣстникъ»-ში გამოცხადებულია იმ 80 კაცის სია, რომელნიც გემის «ვერა»-ს დაწვის დროს დაიღუპნენ. ამ 80 კაცში ზოგის წოდება და ხარისხი იციან და ზოგისა ვერ შეუტყვიათ.

ხუნკერსბურგის საბანაო ადგილზე, ნარვის ახლო, 17 აგვისტოს, ღამე ცეცხლი გაჩნდა და 80-მდე შენობა დაიწვა. როგორც ხმა დადის, ამ ცეცხლს ხალხიც ბევრი უმსხვერპლია.

ქურქევო. მთავარმა ალექსანდრემ გუშინ სისტოვოში სერბიის კოროლისაგან დეპეშა მიიღო. ამ დეპეშით სერბიის კოროლი ალექსანდრე მთავარს დაბრუნებას ულოცავს. მთავარმა მადლობის დეპეშა გაუგზავნა.

ბუქარესტი. სახელმწიფოში აღრეულობამ, რომელიც ბოლგარიაში მოხდა, ურთიერთის წინააღმდეგმა ფიცის მიღებამ სხვა-და-სხვა მართებლობის სასარგებლოდ ცუდი ზედმოქმედება იქონია და სულით დასცა ბოლგარიის ჯარიო. ბოლგარიის ხალხი იმ ნაირისავე აღტაცებით ეგებება ალექსანდრე მთავრის დაბრუნებას, როგორც ამ ერთის კვირის წინად მის ტახტიდამ ჩამოგდებას მიეგებაო.

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპვ (1886) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ **7394.**
ძველი ინდიქტიონი მე-14,
ამისი ქორონიკონი—უოჱ=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი—მბ=42 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1886 წლის ზედ-ნადები—3.

აგვისტო 31 დღით არის

20 დღე ოთხშაბათი. წინ.-მეტყ. სამუილისა, მოწ. სევერ და მემნონისა. კათოლ. წმ. ალმსარ. ბერნარდისა ეკკლ. დოკტ. სომხ. ნახატონაქი. მარხვაა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—59—52. ტფილისში მზე ამოდის 5—25, ჩადის 6—35; მთვარე ამოდის 8—52, ჩადის 8—15.

21 დღე ხუთშაბათი. წმ. მოწ. თადეოსისა. კათოლ. წმ. იოანე—ფრანცისკესი. სომხ. ნახატონაქი. ქართლის მეფე ვახტანგი რუსეთში გადასახლდა, რაკი ქართლი ოსმალებმა დაიპყრეს. მეფეს თან ახლდნენ 5 არქიელი, 5 არხიმანდრიტი, 32 დაბალ წოდების სამღვდელო კაცნი და 43 თავადი და აზნაური. მეფე ვახტანგმა საქართველოდგან თან წაიღო ჯვარი წმ. ნინოსი, 1724 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—59—33. ტფილისში მზე ამოდის 5—26, ჩადის 6—33; მთვარე ამოდის 10—0, ჩადის 8—52.

22 დღე პარასკევი. მოწ. აღათონიკე. ქალწ.-მოწ. ევლალიასი. კათოლ. მე-8 დღე ღვთის-მშობლის გარდაცვალებიდგან. სომხ. ნახატონაქი. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—59—14. ტფილისში მზე ამოდის 5—27, ჩადის 6—31; მთვარე ამოდის 11—8, ჩადის 9—31.

23 დღე შაბათი. მოწ. ლუპპასი, ირინე ლიონის ეპისკ. კათოლ. წმ. ალმსარ. ფილიპპე ბენიციელისა. სომხ. ნახატონაქი. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—58—55. ტფილისში მზე ამოდის 5—28, ჩადის 6—30; მთვარე ამოდის 12—11, ჩადის 10—12.

24 დღე კვირა. მღვ.-მოწ. ევტისა. კათოლ. წმ. მოციქ. ბართოლომესი. სომხ. ნახატონაქი. მუსულ. მოწ. სიკვდ. იმამის ბაგირასი (შიიტებისა). ჭეშმარიტი შუა-დღე 11—58—35. ტფილისში მზე ამოდის 5—29, ჩადის 6—28; მთვარე ამოდის 1—11, ჩადის 10—55.

25 დღე ორშაბათი. წმ. მოციქ. ბართოლომესი. კათოლ. წმ. ალმსარ. ლუდვიგისა კორსიკანელისა. სომხ. ნახატონაქი. მუსულ. ეიმ-უთ-თერვია, აბრაამი ჰფიქრობს შვილის ისმაილის მსხვერპლად შეწირვას. დაპყრობა აღმოსავლეთის კავკასიისა, შამილის დატყვევება 1859 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—58—15. ტფილისში მზე ამოდის 5—30, ჩადის 6—27; მთვარე ამოდის 2—6 ჩადის 11—43.

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

2 ივლისიდამ 1-ლ აგვისტომდამ.

თეთრი პური რუსული 1 გირ.	5 კაპ.
წითელი პური 1-ის ხარისხისა .	2½
› › 2 ›	2 ›
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	4½ ›
› › 2—	3 ›
› › 3 ›	2½ ›
ჯვარის მამის პურის ლავაში	
1-ლის ხარისხისა . .	4½ ›
მე-2 ხარისხისა . .	3½ ›
მე-3 — . . .	3 ›
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხის.	7 ›
‹ › 2	6 ›
სუკი	12 ›
ცხვრის ხორცი . . .	6 ›

* * *

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ:

ბათუმიდამ გადის: ორშაბათობით 4 ს. ნაშუადღ. მოკლე გზით, რადგან მარტო ნოვოროსიისკს და კერჩში შეივლის შორის გზით. შაბათობით 8 საათ. საღამოზე (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს შორის გზით, მოკლეს გზით—დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

* * *

მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

სტანციები	მოდის		გადის		სტანციები	მოდის		გადის	
	საათ.	წამი.	საათ.	წამი.		საათ.	წამი.	საათ.	წამი.
	დილით					დილით			
ტფილისი	—	—	8	35	ბათუმი	—	—	8	35
ავჭალა	8	52	8	55	ქობულეთი	9	25	9	28
მცხეთა	9	13	9	21	ნატანები	9	54	9	57
ქსანი	9	39	9	41	სუფსა	10	21	10	27
კასპი	10	6	10	9	ლანჩხუთი	11	—	11	3
გრაკალი	10	29	10	31	ნიგოითი	11	14	11	16
გორი	10	54	11	4	საჯავახო	11	39	11	41
ქარელი	11	33	11	36	**სამტრედია**	11	56	12	15
გომი	12	—	12	4	კოპიტნარი	12	35	12	37
ხაშური	12	21	12	41	რიონი	1	7	1	20
სურამი	12	53	12	56	აჯამეთი	1	32	1	34
ფონი	1	24	1	27	ყვირილა	2	11	2	26
ბეჟათუბანი	2	14	2	34	ძირულა	3	4	3	6
მარელისი	3	3	3	5	ბელაგორი	3	33	3	36
ბელაგორი	3	32	3	35	მარელისი	4	3	4	5
ძირულა	4	2	4	5	ბეჟათუბანი	4	34	4	54
ყვირილა	4	43	4	58	ფონი	5	41	5	44
აჯამეთი	5	35	5	37		საღამოთი			
	საღამოთი				სურამი	6	12	6	15
რიონი	5	49	6	4	**ხაშური**	6	27	6	42
კოპიტნარი	6	34	6	36	გომი	6	59	7	3
სამტრედია	6	56	7	16	ქარელი	7	27	7	30
საჯავახო	7	31	7	33	**გორი**	7	59	8	9
ნიგოითი	7	56	7	59	გრაკალი	8	32	8	34
ლანჩხუთი	8	10	8	14	კასპი	8	54	8	57
სუფსა	8	47	8	55	ქსანი	9	22	9	24
ნატანები	9	19	9	22	მცხეთა	9	42	9	48
ქობულეთი	9	48	9	51	ავჭალა	10	6	10	8
ბათუმი	10	41	—	—	**ტფილისი**	10	25	10	55

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 20 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 15 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 30 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 20 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

	დღისით					ღამით			
ტფილისი	—	—	3	15	სურამი	—	—	2	35
ავჭალა	3	38	3	41	**ხაშური**	2	47	3	2
მცხეთა	4	6	4	16	გომი	3	26	3	31
ქსანი	4	42	4	45	ქარელი	4	5	4	12
კასპი	5	20	5	25	**გორი**	4	53	5	8
გრაკალი	5	53	5	56	გრაკალი	5	40	5	45
	საღამოთი					დილით			
გორი	6	28	6	43	კასპი	6	13	6	19
ქარელი	7	24	7	29	ქსანი	6	54	6	57
გომი	8	3	8	7	მცხეთა	7	23	7	33
ხაშური	8	31	8	46	ავჭალა	7	58	8	1
სურამი	8	58	—	—	**ტფილისი**	8	24	—	—

განცხადებანი

ს. ვ. არღუთინსკისა,
(რომელმაც გაათავა სწავლა ფრებელის პედაგოგიურ კურსებზე),
ჰმართავს „საყმაწვილო ბაღს" და პირველ დასაწყისს სკოლას პანსიონით პატარა ქალებისათვის. ყმაწვილები მიიღებიან 20 აგვისტოდამ, დილის 10 საათიდამ 2 საათამდე. ადრესი: ველიამინოვის ქუჩა, სახლი თ. ამატუნისა, ქვედა სართული. იქვეა საყმაწვილო ბიბლიოთეკა. (3—1)

პანსიონი ალექსანდრა იაკოვლევნა ლისენკოსი გადავიდა ვოდოვოზნი ქუჩაზედ, კადეცკი კორპუსის მახლობლივ, არტაზოვის სახლში № 12. (6—6)

ახალი წიგნი
(რუსულს ენაზედ)
„კერძო და საადგილ-მამულო უფლებანი ძველს საქართველოში". I გამოცემა. ფასი 35 კაპ. ისყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში. (50—9)

Дозволено цензурою· Тифлисъ 19 августа, 1886 года. სტამბა გ. მელიქიშვილისა, არწრუნისეულ ქარვასლაში №№ 26, 27, 28. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე·